სასკოლო შფოთვისა და სტრესის დაძლევის სტრატეგიების კვლევა მოზარდებში

ხატია ჯოხარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ჯაფარიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ეძღვნება სასკოლო შფოთვისა და სტრესის დაძლევის სტრატეგიების კვლევასმოზარდებში. კვლევა თბილისისა და რუსთავის კერძო და საჯარო სკოლებში ჩატარდა.

სასკოლო შფოთვის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ :

საჯარო და კერძო სკოლის მოზარდ მოსწავლეებში შფოთვის დონე განსხვავდება ერთმანეთისაგან-საჯარო სკოლის მოსწავლეები ყველა პარამეტრში შფოთვის უფრო მაღალ დონეს ავლენენ, ვიდრე კერძო სკოლის მოსწავლეები;

საბაზო სკოლის მოსწავლეებს უფრო მეტად ახასიათებთ სასკოლო შფოთვა, ვიდრე საშუალო სკოლის მოსწავლეებს;

დადასტურდაგენდერული განსხვავებები შფოთვის დონეებში.

სტრესის დაძლევის თვალსაზრისით, დადგინდა, რომ:

სტრესის დაძლევის პრობლემზე ორიენტირებულ სტრატეგიას უფრო მეტად კერძო სკოლაში მყოფი მოზარდები მიმართავენ, ვიდრე საჯარო სკოლის მოზარდები.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული უფრო მეტად არიან ვაჟები, ვიდრე გოგონები,ხოლო ემოციებზე ორიენტირებულნი უფრო გოგონები

უფროსი სასკოლო ასაკის მოზარდები უფრო ხშირად იყრენებენპრობლემაზე ორიენტირებულ ქოპინგს , ვიდრე საშუალო მოზარდები;

დადასტურდა სანდო კორელაცია სასკოლო შფოთვასა და ქოპინგის ზოგიერთ მახასიათებელს შორის-კერძოდ,ყველა, ვინცხასიათდებამაღალი სასკოლო შფოთვით,მომართავს სტრესის დაძლევის ემოციებზე ორიენტირებულ სტრატეგიას.